ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3839416

ნომერი: AR1577937

თარიღი : 16.02.2018

გაცემის თარიღი : 23.02.2018

გაცნობის თარიღი : 23.02.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). სამსახურის მიერ ამავე მიწის ნაკვეთზე 17.01.2017 წ. №3029863 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზელ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად დადგინდა განაშენიანების რეგულირების (წითელი) და განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზები, ასევე ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარიც (იხ. №3029863 ბრძანების თანდართული დანართი), რის მიხედვითაც 03.02.2014 წ. №1105920 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი დასტური I კლასის ღობის მშენებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნომენკლატურა არასწორად გაქვთ არჩეული, კერძოდ "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე - ახალი მშენებლობის" ნაცვლად "60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა - ახალი მშენებლობა"-სთან ერთად უნდა აირჩიოთ "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე - კორექტირება".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განაცხადი დარჩება განუხილველი.

ახალი განაცხადის ატვირთვისას, ასევე გაითვალისწინეთ:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" - მოთხოვნის ტექსტში ვრცლად დააკონკრეტეთ საპროექტო შენობის ფუნქცია.
2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დანართის შესაბამისად გენგეგმაზე დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების წითელი და ლურჯი ხაზები, ასევე ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და ღობე განათავსეთ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარის დაცვით საცხოვრებელი ზონის ნაწილში.
3. გეგმაზე დაიტანეთ სათავსების ექსპლიკაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.